

## მე-2 კლასი

### ძირითადი დავალებები (100 ქულა)

#### იპოვეთ კანონზომიერება (20 ქულა)

- გამოიცანით გამოტოვებული რიცხვი: 5, 7, 10, 12, 15, 17, ... , 22, 25  
A) 19 B) 20 C) 21
- გამოიცანით გამოტოვებული ისარი:  $\leftarrow \uparrow \rightarrow \downarrow \leftarrow \dots \rightarrow \downarrow \leftarrow \uparrow$   
A)  $\leftarrow$  B)  $\uparrow$  C)  $\downarrow$

#### ლოგიკა (20 ქულა)

- ისრებიანი საათი ახლა 7 საათს აჩვენებს. რამდენი საათის შემდეგ იქნება ისევ 7 საათი? (5 ქულა)  
A) 6 სთ B) 30 სთ C) 12 სთ
- თაკოს 10 თუთიყუში ჰყავს. სულ მცირე რამდენი გალია უნდა იყიდოს ყველას მოსათავსებლად, თუ ერთ გალიაში მხოლოდ 3 თუთიყუში ეტევა? (5 ქულა)  
A) 3 B) 4 C) 5
- თუ სამკუთხედს სწორი ხაზით მოვაჭრით სამივე წვეროს, მაშინ რამდენი წვერო ექნება მიღებულ ფიგურას? (10 ქულა)  
A) 6 B) 7 C) 2

#### გამოიანგარიშე (30 ქულა)

- ნიკას სამშაბათს და ხუთშაბათს 2 გაკვეთილი აქვს. შაბათ-კვირას ისვენებს. დანარჩენ დღეებში 3 გაკვეთილი აქვს. სულ რამდენი გაკვეთილი აქვს მას ერთ კვირაში?  
A) 5 B) 4 C) 13
- თოჯინა 6 ლარი ღირს, გემი - 11 ლარი. რატის მხოლოდ 10 ლარი აქვს. კიდევ რამდენი ლარი სჭირდება რატის, რომ ორივე სათამაშოს ყიდვა შეძლოს?  
A) 17 B) 27 C) 7
- დემნა 2 წლის შემდეგ გახდება 10 წლის, ხოლო მერაბი 2 წლის წინ გახდა 10 წლის. რამდენი წლით უფროსია მერაბი დემნაზე?  
A) 2-ით B) 4-ით C) 6-ით

#### რეზუსი (30 ქულა)

- $\clubsuit$  აღნიშნავს 7-ს,  $\heartsuit$  აღნიშნავს 4-ს. რას აღნიშნავს  $\spadesuit$ , თუ  $1 + \clubsuit - \heartsuit - \spadesuit = \diamond$ ?  
A) 0 B) 3 C) 11
- რას აღნიშნავს  $\blacksquare$ , თუ  $\triangle + 5 = 7$  და  $\blacksquare = \triangle + 3$   
A) 9 B) 7 C) 5

#### ბონუს დავალებები (30 ქულა)

#### შეკითხვები ფინანსური განათლებიდან:

- მარიამს მშობლებმა ჯიბის ფულის სახით 10 ლარი მისცეს, ბებიამ კი მას დამატებით 5 ლარი აჩუქა. ამის შემდეგ, მარიამმა თავის ძმას 4 ლარი მისცა. საბოლოოდ, რამდენი ლარი აქვს ახლა მარიამს?  
A) 15 B) 11 C) 19
- ნიკას სათამაშო მატარებლის ყიდვა უნდა. სახლთან ახლოს, სათამაშოების მაღაზიაში მატარებელი 30 ლარი ღირს, ხოლო საზღვარგარეთ ინტერნეტ-მაღაზიაში სათამაშოს ფასი 20 ლარი გამოდის, საქართველოში ჩამოტანა დამატებით 10 ლარი ჯდება. რომელ შემთხვევაში დახარჯავს ნიკა ნაკლებ თანხას?  
A) თუ იყიდის სათამაშოს სახლთან ახლოს მაღაზიაში B) თუ გამოიწერს სათამაშოს ამერიკიდან  
C) ორივე შემთხვევაში ერთნაირ თანხას დახარჯავს

#### ლიდერი კომპანიების კითხვები მომავალ ლიდერებს:

##### „კრისტალის“ ბონუს კითხვა:

- ნიკა სახლიდან 3 საათით გავიდა და სინათლის ჩაქრობა დაავიწყდა. რა თანხით მეტის გადახდა მოუწევს ელექტროენერგიაში ამის გამო, თუ 1 საათში 1 თეთრის ღირებულების ელექტროენერგია იხარჯება?  
A) 3 თეთრით B) 2 თეთრით C) 1 თეთრით

##### „ლიბერთი ბანკის“ ბონუს კითხვა:

- ირაკლიმ 2 წლის წინ ლიბერთი ბანკში ანაბარი გახსნა. რამდენი წლისაა ის ახლა, თუ მაშინ 17 წლის იყო?  
A) 15 B) 17 C) 19

##### „ბიუ-ბიუს“ ბონუს კითხვა:

- „ბიუ-ბიუს“ ქათმის ხორცის პროდუქცია საქართველოს მასშტაბით ხელმისაწვდომია შემდეგ ქალაქებში: თბილისი, რუსთავი, ხაშური, გორი, ზუგდიდი, ქუთაისი, ბათუმი. საქართველოს მასშტაბით, სულ რამდენ ქალაქში ყოფილა შესაძლებელი „ბიუ-ბიუს“ ქათმის ხორცის პროდუქციის შექმნა?  
A) 5 B) 6 C) 7

##### წარმატების კიდევ ერთი შანსი მაგთისგან \* :

- ნიკუშა მაგთიკომის მომხმარებელია და მისი ტელეფონის ნომერი იწყება შემდეგი ციფრებით: 599000\_\_\_. შეიძლება თუ არა, დანარჩენი 3 ციფრი ისე შევარჩიოთ, რომ ნიკუშას ტელეფონის ნომრის ციფრთა ჯამი 23-ს უდრიდეს?  
A) კი B) არა C) ვერ დავადგენთ

\* გაეცი ბონუს კითხვას სწორი პასუხი, გახდი მაგთის აკადემიური კლუბის წევრი და მიიღე უფასო სიმ ბარათი, სიგელი, ყოველთვიური 100მზ, 100 SMS და 30 წუთი საჩუქრად.